ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲔ. თეატრის 2 სტუდიის წარმოდგენებზე დასასწრებლად კავშირმა შეიძინა ბილეთები, რომლებიც განაწილდება უფასოდ წევრების შორის.

ᲡᲐᲢᲐᲠᲘᲤᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

მაისის განმავლობაში განყოფილებამ დასდო კოლექტიური ხელშეკრულება ბორჯომის დაწესებულებებთან. ხელშეკრულება დადებულია ორი თვის ვადით, ასანთის ქარხანაში ორი თვის ვადით დაწერდა ნიგა“, „ბეზბოღნიკ“ და გაზეთები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

I

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲑᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ

ტფილისი ძველი კულტურული ქალაქია. ათასი წლის წინად, არაბების მფლობელობის დროს, თბილისში არსებობდა ობსერვატორია, სადაც ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდენ მაშინდელი მეცნიერები. ისტორიკოსი დ. ბაქრაძის აზრით ობსერვატორია ამართული იყო ძველ ციხის მაღლობზე, სიდიდანაც უფრო მოსახერხებელი იყო დაკვირვებების წარმოება.

საქართველოს აღორძინების, ასე წოდებულ ოქროს ხანის (11—13 საუკ.) შემდეგ მონგოლების შემოსევამ ძლიერ დააქვეითა საქართველოს კულტურა. მრავალგვარი მტერი მოელი საუკუნოების განძავლობაში მოსვენებას არ აძლევდა ქართველ ხალხს.

ქართველი ერის ახალი აღორძინება იწყება 19 საუკუნეში, როდესაც ტფილისი ხდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ცენტრად.

ადმინისტრატიული და ეკონომიური ცენტრი—ტფილისი შეიქმნა აგრეთვე კულტურულ ცენტრად. არსდება მეცნიერული და ხელოვნების დაწესებულებები და საზოგადოებები. ამათ შორის ოთხმოცი წლის წინედ ტფილისში დაარსდა მეტეოროლოგიური ობსერვატორია.

მეტეოროლოგიის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერებისათვის, აგრეთვე პრაქტიკულ ცხოვრებისათვის, განსაკუთრებულ სოფლის შეურნეობაში. მეტად საგულისხმო და გამოსადეგია, როდესაც მიწის მუშამ იცის სინოპტიკური დაკვირვების შედეგები, ე. ი. რა მდგომარეობაშია ბარომეტრი, ჰავა, ჰაერის სინესტე, ქარის ძალა და მიმართულება და სხვა...

ამიტომაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს, რომ იყოს რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებული მეტეოროლოგიური ცოდნა: იბეჭდებოდეს სპეციალი და თანაეე ადვილი გასაგები წიგნები, ფართოდ იყოს გავრცელებული ფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენები, იწერებოდეს საერთო სპეციალ ჟურნალ-გაზეთებში წერილები.

1844 წლის დასაწყის სამთო უწყების ხარჯზე ტფილისში დაარსდა დროებითი მაგნიტიური და მეტეოროლოგიური ობსერვატორია, სადაც ყოველ ერთ საათში დღე და ღამე წარმოებდა დაკვირვება.

ეს ობსერვატორია იყო დაარსებული ავოლაბარში. 1861 წელს ობსერვატორია გადმოტანილი იყო კუკიაში, პლეხანოვის ქუჩაზე, სადაც ის ახლაც არსებობს.

წითელი ფლოტისთვის.

პროფსაბჭოს ცირკულიარის თანახმად ყოველივე პროკენტული ანარიცხები წითელ ფლოტის სასარგებლოდ გატარებულ იქნება პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანხმად.

მოსკოვის სამხ. თეატრის მეორე სტუდიის წარმოდგენებზე.

მოსკოვის სარხ. თეატრის 2 სტუდიის წარმოდგენებზე დასასწრებლად კავშირმა შეიძინა ბილეთები, რომლებიც განაწილდება უფასოდ წევრების შორის.

სატარიფო-ეკონომიურ განყოფილება

მაისის განმავლობაში განყოფილებამ დასდო კოლექტიური ხელშეკრულება ბორჯომის დაწესებულებებთან. ხელშეკრულება დადებულია ორი თვის ვადით, ასანთის ქარხანაში ორი თვის ვადით დაწერდა ნიგა“, „ბეზბოღნიკ“ და გაზეთები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

I

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲑᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ

ტფილისი ძველი კულტურული ქალაქია. ათასი წლის წინად, არაბების მფლობელობის დროს, თბილისში არსებობდა ობსერვატორია, სადაც ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდენ მაშინდელი მეცნიერები. ისტორიკოსი დ. ბაქრაძის აზრით ობსერვატორია ამართული იყო ძველ ციხის მაღლობზე, სიდიდანაც უფრო მოსახერხებელი იყო დაკვირვებების წარმოება.

საქართველოს აღორძინების, ასე წოდებულ ოქროს ხანის (11—13 საუკ.) შემდეგ მონგოლების შემოსევამ ძლიერ დააქვეითა საქართველოს კულტურა. მრავალგვარი მტერი მთელი საუკუნოების განძავლობაში მოსვენებას არ აძლევდა ქართველ ხალხს.

ქართველი ერის ახალი აღორძინება იწყება 19 საუკუნეში, როდესაც ტფილისი ხდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ცენტრად.

ადმინისტრატიული და ეკონომიური ცენტრი—ტფილისი შეიქმნა აგრეთვე კულტურულ ცენტრად. არსდება მეცნიერული და ხელოვნების დაწესებულებები და საზოგადოებები. ამათ შორის ოთხმოცი წლის წინედ ტფილისში დაარსდა მეტეოროლოგიური ობსერვატორია.

მეტეოროლოგიის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერებისათვის, აგრეთვე პრაქტიკულ ცხოვრებისათვის, განსაკუთრებულ სოფლის შეურნეობაში. მეტად საგულისხმო და გამოსადეგია, როდესაც მიწის მუშამ იცის სინოპტიკური დაკვირვების შედეგები, ე. ი. რა მდგომარეობაშია ბარომეტრი, ჰავა, ჰაერის სინესტე, ქარის ძალა და მიმართულება და სხვა...

ამიტომაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს, რომ იყოს რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებული მეტეოროლოგიური ცოდნა: იბეჭდებოდეს სპეციალი და თანაეე ადვილი გასაგები წიგნები, ფართოდ იყოს გავრცელებული ფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენები, იწერებოდეს საერთო სპეციალ ჟურნალ-გაზეთებში წერილები.

1844 წლის დასაწყის სამთო უწყების ხარჯზე ტფილისში დაარსდა დროებითი მაგნიტიური და მეტეოროლოგიური ობსერვატორია, სადაც ყოველ ერთ საათში დღე და ღამე წარმოებდა დაკვირვება.

ეს ობსერვატორია იყო დაარსებული ავოლაბარში. 1861 წელს ობსერვატორია გადმოტანილი იყო კუკიაში, პლეხანოვის ქუჩაზე, სადაც ის ახლაც არსებობს.

წინად აქ იყო აგებული ასტრონომიული ობსერვატორია კავკასიის დიდი ტრიანგულაციასთვის, კავკასიის დაწვრილებითი რუქის შესადგენად.

როდესაც ეს მიზანი ხსენებულ 1861 წელს შესრულებული იყო, ასტრონომიული ობსერვატორია მოშალეს და მთელი მისი დიდი ადგილი და შენობები მეტეოროლოგიურ ობსერვატორიას დგასაკენ.

მესამოცე წლებში კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში და ზოგიერთ სოფლებში არსდება მეტეოროლოგიური სადგურები და ამავე ხანიდან იწყება სისტემატიური დაკვირვებები და ბიულეტენების გამოცემა, ჯერ რუსეთის მთავარ ობსერვატორიის გამოცემებში და შემდეგ განსაკუთრებულად ტფილისში.

ელექტრონის ტრამვაის გაყვანის შემდეგ, ე. ი. 1904 წელს მაგნიტიური ობსერვატორია გადატანილი იყო ტფილისიდან კარსანში, რადგანაც ელექტრონის ძალა გავლენას ახდენს ბუნებრივ მაგნიტიზმზე და სწორედ დაკვირვებას უშლის.

კარსანი მდებარეობს მცხეთის ახლოს მთებში. მეუდრო და ლამაზ ადგილზე.

ომის დაწყების შემდეგ ადგილობრივი მეტეოროლოგიური სადგურები მუშაობა შეჩერებული იყო სხვა და სხვა მიზეზების გამო. თვით ტფილისის ობსერვატორიაში საქმე მეტად შეფერხდა, მაგალითად აღარ იცემოდა მეტეორო. ბიულეტენები.

წელს-გაზაფხულს ობსერვატორიის მუშაობაში ცვლილება მოხდა, შეიცვალა დირიქტორი. შეიცვალა სინოპტიკურ განყოფილების მოქმედება, ე. ი. ყოველ დღე დგება ნორმალური სინოპტიკური რუქება, აწარმოებენ სისტემატიურად მოსახლოდნელ ამინდის პროგნოზს, სეისმიური, ე. ი. მიწის ძვრის მაჩვენებელი მანქანები გასწორებული და ამუშავებულია; წარმოებს სწორი დროს ჩვენება მთელი რესპუბლიკისათვის.

კარსანის სამაგნიტო განყოფილებაში მოხდა დიდი რემონტი და სამაგნიტო მანქანები მოწესრიგებულია. ტ დაბოლოს დამუშავდა და უკვე დაწესებულია ბეჭედი რამდენიმე წლის განმავლობაში შეჩერებულ ობსერვატორიის ბიულეტენებისა და სხვა დაკვირვებისა.

ამგვარად, შეფერხებული დიდი საქმე თავის ნორმალურ კალაპოტში დგება.

წითელი ფლოტისთვის.

პროფსაბჭოს ცირკულიარის თანახმად ყოველივე პროკენტული ანარიცხები წითელ ფლოტის სასარგებლოდ გატარებულ იქნება პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანხმად.

მოსკოვის სამხ. თეატრის მეორე სტუდიის წარმოდგენებზე.

მოსკოვის სარხ. თეატრის 2 სტუდიის წარმოდგენებზე დასასწრებლად კავშირმა შეიძინა ბილეთები, რომლებიც განაწილდება უფასოდ წევრების შორის.

სატარიფო-ეკონომიურ განყოფილება

მაისის განმავლობაში განყოფილებამ დასდო კოლექტიური ხელშეკრულება ბორჯომის დაწესებულებებთან. ხელშეკრულება დადებულია ორი თვის ვადით, ასანთის ქარხანაში ორი თვის ვადით დაწერდა ნიგა“, „ბეზბოღნიკ“ და გაზეთები.

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡᲢ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲓᲠᲔᲨᲘ

— **ᲒᲚᲔᲮᲘᲡᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲓᲔ.** მცირე პრეზიდიუმს დაეკალა გამოარკვიოს საკითხი, სოც. უზრუნველყოფის კომისარიატისთვის რუსთაველის პრ. მდებარე დამწვარი სახლის გადაცემის შესახებ, სადაც განზრახულია მოხსნას ბლეხთა სასახლეო.

— **ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.** ამხ. ამხ. ვარგულს, ღლონტს და რუხაძეს დაეკალათ შეიმუშაონ საბჭოს სექციებისათვის მუშაობის პროგრამა და წარმოუდგინონ პრეზიდიუმს.

— **ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ.** წინადადება მიეცა საადგილ-მამულო განყოფილებას სათანადო კომისარიატების წარმომადგენლებთან ერთად გამოარკვიოს ითვლება თუ ბაღ-ბოსტნებთან ერთად მუნიციპალიზაციის წესით ჩამორთმეულად შენობები და ინვენტარი.

— **ᲮᲐᲮ. ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲯᲐᲛᲐ�გᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.** დადგენილ იქნა აღიძრას შუამდგომლობა ა. კ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა აღმასკომი, უსახსრობის გამო, განთავისუფლებული იქნეს სახ. მოსამართლეებზე ჯამაგირების გაცემისაგან.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲨᲘ.

— **ᲙᲘᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ.** სახ. განათლების კომისარიატის კინო-სექციის გადაეცა კერძო კინო-თეატრები: „სოლეი“ და „ვარსკვლავი“, კინო სექციი უკვე შეუდგა მათ კაპიტალურ შეკეთებას, რის შემდეგ დაიწყება სურათების ჩვენება.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ.

— **ᲛᲘᲮᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲪᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ.** ლანჩხუთის რაიონის კოოპერატივთა კავშირის ყრილობის პრეზიდიუმისაგან ცეკავშირმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ლანჩხუთის რაიონის კოოპკავშირის რწმენებულთა ყრილობა, აღფრთოვანებული ცეკავშირის ბრძოლით ეროვნულ ეკონომიურ ფრონტზე, ამაყობს

ჟამიათა ცხოვრება

ალმასკომის სანიტ-ტეხ-ნიკური ქვე-განყოფილება.

ალმასკომის საალმშენებლო სანიტარულ-ტექნიკურ ქვეგანყოფილებაში ამ ქამად ირიცხება 182 მუშა-მოსამსახურე. აქ საკმაოდ დაცულია შრომის პირობები.

ადმინისტრაციისა და მუშებს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება მხარეთა მიერ კარგად სრულდება:

არსებული ჯამაგირები მუშა-მოსამსახურეთ ურიგდება თვეში ორ ჯერ: 1 და 15 რიცხვში; მუშებს უკვე მიეცათ საჭირო სპეც-ტანსაცმელები. მუშა-მოსამსახურენი კანონიერად სარგებლობენ შვებულებით.

აქვე არის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, რომლის მუშაობით კმაყოფილი არიან მუშები.

კარგ დონეზეა დაყენებული კულტურული მუშაობაც. ამ მართით მიღებული ღონისძიებანი ადგილკომის და პროფკავშირის მიერ ნაყოფიერია და დასაფასებელი. მუშებისათვის არის ბიბლიოთეკა, სადაც მოიპოვება საჭირო წიგნები, ბროშიურები და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებიც. მუშებს აქვთ საკუთარი კლუბი, სადაც იმართება დროგამოშვებით საჭირო ლექციები. აქვე არსებობს სცენის მოყვარეთა ჯგუფი. ამ ქამად მიდის კლუბის შენობის შეკეთება და ამის გამო დროებით შეწყვეტილია ლექციები, მაგრამ ახლო მომავალში მათი კითხვა კვლავ განახლებულ იქნება.

მუშებისათვის არის ორი პირველი საფეხურის სკოლა, ერთი სოხნებისათვის და ერთი რუსებისათვის. არის განზრახვა დაარსდეს სკოლა ქართველ მუშებისათვის რაც აუცილებელი არის.

მუშკორი ჩხმელი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში.

მიმდინარე წლის 26 მაისს შესდგა ალნიშნულ კომისარიატის თანამშრომელთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო კომისარიატის თითქმის მთელი შემადგენლობა. კრებას თავმჯდომარეობა აირჩიეს ამხ. ფრანგულიანცი და მდივნად ამხ. ბოცვაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ადგილკომის ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 3) ადგილკომის გადარჩევა.

ადგილკომის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანმა ამხ. ლავშინმა. მან აღნიშნა ის მეტად მძიმე პირობები, რომელშიაც მას უმდგომდა ბუშობა ადგილკომის დანარჩენ წევრების უმოქმედობის გამო. მხოლოდ ერთი მათგანი, ახლად არჩეული ამხ. ნიკოლაიშვილი ეწეოდა ენერგიულ მუშაობას კულტურულ დარგში. უკანასკნელ თვის განმავლობაში კულტმუშაობის გასაცხოველებლად დასახული იყო ერცელი გეგმა, რომლის განხორციელება გაზეთებზე კოლექტიური ხელის მოწერით დაიწყო. ამ ზომამ გამოიღო ის ნაყოფი, რომ თუ წინეთ თვეში ადგილკომს მოსდიოდა 144 ცალი გაზეთი, ეხლა ეკუთვნალარების რაოდენობა ავიდა 720 ცალამდე თვეში. წერა-კითხვის უცოდინარობა უკვე მოსპობილია, სადაც კი ეს მოსახერხებელი იყო. პროგრამის დანარჩენ მუხლების განსახორციელებლად მიღებულია ზომები. სხვა დარგებშიც ადგილკომი ცდილობდა, რამდენად ეს შესაძლებელი იყო, თანამშრომლების ინტერესების ფხიზლად და მტკიცედ დაცვას.

ადგილკომის მდივნის მოხსენების შემდეგ გაკეთებულ იქნა მოხსენება სარევიზიო კომისიისა, რომელმაც აღნიშნა ადგილკომის მუშაობაში მრავალი დეფექტები.

მოხსენების შემდეგ ადგილობრივ კომუჯრედის მიერ წარმოდგენილ იქნა ადგილკომის წევრების ახალი კანდიდატთა სია, სადაც ყოფილ ადგილკომის მდივნის ამხ. ლიგუნას გარდა დასახელებული იყო ორი ახალი წევრება—ამხ. ამხ. ბოცვაძე და ნაზარეტიანი.

ეს სია კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

მუშკორი ა. ნ.

მელითონეთგში

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილებაში, არსებობს პოლიტიკური განათლების წრე, რომელშიც მეცადინეობს 25 მუშა-მოსამსახურე, უმეტეს ნაწილს პოლიტგანათლების წრის შემადგენლობისას შეადგენენ უპარტიო ამხანაგები, რომელნიც სიყვარულით და ენერგიულად მოეკიდნენ მეცადინეობას. არიან შიგა და შიგ ისეთი ამხანაგები, რომელნიც არც ერთს გაკვეთილს არ უშვებენ. მეცადინეობა სწარმოებს შუადღის 2—4 საათამდე, ყოველივე მუშა-მოსამსახურეს მეცადინეობის დროს მაგიდაზე უდევს რვეული, სადაც იწერება კონსპექტი ხელმძღვანელმასწავლებლის ახსნა-განმარტებისა. მეცადინეობა პოლიტ-განათლების წრეში დაიწყეს აპრილის 4-ში.

ამ 2 თვის განმავლობაში უნდა აღინიშნოს, რომ განვლილია და შესწავლულია საკმაო რიცხვი კითხვებისა.

თუმცა კვირაში დანიშნული გვაქვს 2 გაკვეთილი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელი ზოგჯერ არ მოდის და ამიტ ჩვენ სულ უბრალოდ გვიხდება სიარული. გასულ კვირას, მაგალითად (3—10 ივნისამდე) გაკვეთილება არ შესდგა, იმის დამიუხედავად, რომ მოსწავლე მუშა-მოსამსახურენი გამოუშვებლად და დროზედ იკრიბებიან გაკვეთილზე. წრის „მამასახლისი“ აწარმოებს დავთარს, სადაც იწერება, ვინ დასწრო და ვინ არ იმყოფება გაკვეთილზე და რა მიზეზით.

საჭიროა, მე-2 რაიკომმა მიაქციოს ყურადღება ზემოაღნიშნულ გარემოებას და დაეგალოს ხელმძღვანელს უმიზეზოდ არ გამოსტოვოს გაკვეთილები.

მელითონე.

მუშათა ქრონიკა.

— **დახმარება ლარიბ კავშირებს.** მეწყოველთა კავშირის კულტ-განყოფილებამ კულტ განათლების მუშაობის საწარმოებლად კავშირის წევრთა შორის გამგეობას დაუნიშნა თვიურად 65 მანეთი ოქროთი.

— **შრომის ექსპლოატატორები ს პასუხის გებაში მიცამა.** თბილისის მეორე რაიონის შრომის ინსპექტორის მიერ შრომის კანონების დარღვევისათვის მიცემული არიან პასუხისგებაში, შემდეგი მოქალაქეები:

1) **ღვინის ნაწყობის პატრონი ლევან მარტაშვილი** (ანტონოვის ქ. № 36), რომელიც ექსპლოატაციას უწევდა 14 წლის შეგირდს, ამუშავებდა მას თითქმის 12 საათს, ჯამაგირს აძლევდა სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლებს, არ ყავდა დაზღვეული და არ მიუცია საანგარიშო წიგნაკი.

2) **რძის ნაწარმოებით მოვაჭრე დიმიტრი პალიევი** (დეზერტირ. ბაზარი № 8901), რომელსაც ჰყავდა 14 წლის ყმაწვილი, დაუზღვეველი, არ მიუცია მისთვის საანგარიშო წიგნაკი, ამუშავებდა 9 საათს და ჯამაგირს კი სახ. მინიმუმზე ნაკლებს აძლევდა.

3) **კუკიის სახაფლაოს გამგე, მჯდელი ხუხუტაშვილი,** რომელიც ამუშავებდა 4 კაცს, ზოგს სასაფლაოს დარაჯად, ზოგს ზარების მრეკავად, ზოგს სანთლების გამყიდველად, დღეში 11—12—13 საათს, არ ჰყავდა ისინი დაზღვეული და არ მიუცია მათთვის საანგარიშო წიგნაკები. ჯამაგირს აძლევდა სრულიად უზნიშვნელოს, თითოს თვეში 1.500.000 მანეთს.

— **უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად.** შაბათს, 16 ივნისს ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირი უმუშევართა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად უკრაინულ ენაზე მართავს წარმოდგენს.

— **აგარაკები მუშებისათვის.** ა. წ. 20 ივნისს წაღვერსა და ბორჯომში გაიხსნება ს. ბ. კავშირის დასასვენებელი სახლები, რომელნიც მთელი ზაფხულის განმავლობაში 20 ოქტომბრამდე დაიტევს 960 მუშას. ამ რიცხვიდან რკინის გზელებს ეთმობათ 400 ადგილი, ქალაქ თბილისის მუშებს 332 და 228 ადგილი პროვინციას.

— **წმენდა მელითონეებში.** მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით 15 ივნისს დაიწყება უმუშევარ მელითონეთა წმენდა.

ფერილები რედაქციის მიმართ

ბოლაძეს რედაქტორს.

გთხოვთ თქვენს გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, მენშევიკური პარტიის წევრები საჯაროთ ვაცხადებთ, რომ მენშევიკური პარტიის ყოფნის ფორმა, სანამდის ისინი ბატონობდენ საქართველოში, ნათელი არ იყო ჩვენთვის ამ პარტიის ჭეშმარიტი ფიზიონომია. მაგრამ ეხლა თუ არა მენშევიკების გარიყვა საქართველოდან ზ დაიჭირა თუ არა მათი ადგილი კომუნისტურმა პარტიამ, მისი ნაბიჯების დაკვირვების შემდეგ, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მის პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მიმართულია მსოფლიო მუშათა კლასის განთავისუფლებისაკენ. მენშევიკებმა ვერ მისცეს გლეხებს ის, რასაც ისინი მოელოდენ რევოლიუციისაგან და რისი მიცემაც შესაძლებელი იყო. გლეხების საკითხში მენშევიკებმა სავსებით გამოააშკარავეს მათი გადახრა მემამულეებისაკენ.

გავიხსენოთ აჯანყება დუშეთის მაზრის გლეხობის, რომლებიც მოითხოვდენ მიწას და მენშევიკებმა იმის მაგივრად, რომ დაემყოფილებინათ ისინი, იარაღით ჩაანქრეს აჯანყება და დახვრიტეს აჯანყებული გლეხები. ამით გაიკითეს მემამულეების საქმეები. საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მხოლოდ მიწით დუშეთის დაკმაყოფილება, დაკმაყოფილება იმისი, რისთვისაც ისინი იბრძოდენ მენშევიკების ბატონობის დროს.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხების სასარგებლოდ გადაჭრა მიწის საკითხი, რასაკვირველია, მემამულეებს ეს არ მოეწონათ და შეადგინეს წმინდა თავად-აზნაურული ბანდა თავადი მემამულე ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

ვინ ეჭვერს ამ ბანდას მხარს? მენშევიკური პარტია. ან ეს სავსებით ამტკიცებს თუ ვისთან არიან მენშევიკები და ვის ემსახურებიან ისინი. დღეს მთელმა მშრომელმა გლეხკაცობამ ზურგი შეაქცია მენშევიკურ პარტიას და ჩვენც სრულიად შეგნებულად ვ ნებებთ მას თავს და ვამბობთ: მენშევიკური პარტია შეიქმნა მუშათა კლასის მოღალატე პარტიათ და ვიძახით—ძირს მენშევიკური პარტია!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

პარტიის წევრები:

1.	არაქელოვი ნიკო	1919 წლ.
2.	ფარესაშვილი გრიგოლ	1905 „
3.	კობაიძე ვლადიმერი	1919 „
4.	შადური იოგორი	1905 „
5.	მაისურაძე ალექსანდრე	1919 „
6.	გულმათიშვილი ვანო	1918 „
7.	უთრუგაშვილი ნიკოლ.	1919 „
8.	დავითური ნატალია	1919 „
9.	ბექეური ილია	1920 „
10.	შაქროვი გიორგი	1920 „
11.	ძაგანია გიორგი	1911 „
12.	იმერლიშვილი გიორგი	1902 „
13.	კაიშური ილია	1919 „
14.	ჩოხელი ვასილ	1919 „
15.	ქარჩაიძე ლადო	1919 „
16.	მელიქოვი ნიკოლოზ	1905 „
17.	ცილიკიშვილი იასონ	1919 „
18.	თათარიშვილი ევგენი	1919 „
19.	ანტონაშვილი არტემ	1919 „
20	ჩოქაური მოსე	1919 „
21.	გულბათიშვილი კოტე	1919 „

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ განცხადებას თქვენ გაზეთში.

ჩვენ, დუშეთის მაზრის მცხოვრებნი, ვაცხადებთ, რომ სრულიად შეცდომით და მოტყუებით ვყავართ დუშეთის მაზრის სახალხო გვარდიაში, თუმცა მოკლე ხნით. დავრწმუნდით რა კომუნისტურ პარტიის სიმართლეში და იმაში, რომ ის არის ერთად ერთი დამცველი მუშათა და გლეხთა ინტერესებისა, ფიცსა ვსდებთ დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

1. თუჯიშვილი ლადო, 2. ბარუთაშვილი ვანო, 3 უნდილაშვილი გაბო, 4. თათარაშვილი ალექსანდრე, 5. გათენაშვილი დმიტრი, 6 ლაზარეი სიმონ, 7. ნათაძე სიკო, 8. რუბაშვილი ქიტო, 9. ბედიაშვილი გიორგი, 10. ვალიშვილი იოსებ, 11. ხერუმოვი სარქისა; 12. თუთბერიძე გიორგი, 13. მანქანაშვილი გიორგი, 14. როსტომაშვილი ბაგრატ.

მოსაქმეთა მოკავშირეობანი და გაერთიანებანი

დეკრეტი.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით ჩამორთმეული ქონების სარგებლობის წესის შესახებ.

1. ყოფილ მესაკუთრეს, რომელსაც ქონება ამა დეკრეტის გამოცემამდე ჩამოერთვა ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით, ან ვისი ქონებაც, საერთოდ, გადავიდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულების მფლობელობაში და აგრეთვე მშრომელთა მფლობელობაში,—უფლება არა აქვს ჭითხოვოს ამა ქონების უკან დაბრუნება.

შენიშვნა: დავის გადაწყვეტის წესი იმ ქონების შესახებ, რომელიც ჩამოერთვა ყოფილ მფლობელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ მიღებულ მიწის რეფორმასთან (1923 წლის, თებერვლის 23-ს დადგენილება) დაკავშირებით,—განისაზღვრება ამ საგანზე აღსებული ინსტრუქციებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარისა.

2. სხვათა შორის ყოფილ მესაკუთრეს არ შეუძლიან მოთხოვოს ფაქტიურ მფლობელს საოჯახო ნივთები (ავეჯეულობა, ტანისამოსი, თვთრეული, ფეხსაცმელი, ჭურჭეულობა და სხვ.)—უკეთუ ეს ნივთები მიღებულია სათანადო სახელმწიფო (კომუნალური) ორგანოებისაგან დადგენილი წესით.

შენიშვნა: წესი ესე არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ნივთი შეინანახა ან სარგებლობისათვის გადაეცემა მის ფაქტიურ მფლობელს იმ პირთან შეთანხმებით, რომელიც წარადგენს მოთხოვნას ქონების დაბრუნების შესახებ.

3. საოჯახო ნივთები, რომელიც მე-2 მუხლში გათვალისწინებული წესით გადასულია მუშა-მოსამსახურეთა სარგებლობაში, დარჩება მათ სარგებლობაშივე იმ დრომდე, ვიდრე ისინი დასცლიან დაჭერილ სადგომს.

შენიშვნა: სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს ნება ეძლევა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამტკიცებით, გამოსცეს დაწვრილებითი წესი ამა ნივთების სარგებლობისათვის.

4. ქონების ყოველგვარი კონფისკაცია მომავლისათვის შეიძლება მოხდეს მხოლოდ რეკვიზიციისა და კონფისკაციის კანონის წესისამებრ და საქმე ქონების არა კანონიერი ჩამორთმევის შესახებ განსილულ უნდა იქნეს სასამართლო დაწესებულებათა მიერ.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გ ე ვ ე ტ კ ო რ ი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ს ა ლ ა რ ი ძ ე.

1923 წ. ივნისის 11.

ტფილისი—სასახლე.

წ ე ს ე ბ ი.

ადგილობრივი გადასახადის გადახდევინებისა იმ პირთათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომით სარგებლობენ შინ. ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღით, განყოფილება—II, თავი—II!, მუხლი—6, პუნქტი—14. (ქალაქების სახის ადგილებში).

1. იმ პირთ, რომელნიც შინ სარგებლობენ დაქირავებულ შრომით, ადგილობრივი გადასახადი უნდა გადასდეთ ქალაქის სახის ადგილებში (ქალ ქებში, დაბებში).

2. ეს გადასახადი უნდა შეეწეროს ყველა პირს, რომელსაც ჰყავს შინა მოსამსახურე.

3. შინა მოსამსახურეებს, რომლისთვისაც უნდა გადახდეთ გადასახადი, ეკუთვნიან ყველა ის პირნი, რომელნიც ოჯახში ამა თუ იმ მუდმივს სამუშაოს ასრულებენ დაქირავებით, მაგალითად: მზარეული—ქალები, დამლაგებელნი, ძიძები, ბოიჩები, მზარეულები, ეურჭლის მრეცხავნი და სხვანი.

4. გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: ერთს მოსამსახურეზე—ერთის მოლიან მანეთს, ხოლო ერთ მოსამსახურეზე მეტზე—სამა მილიონს მანეთს თვითეულ დაქირავებულ მოსამსახურეზე ნახევარ წლის განმავლობაში (ა.-კ. ფულის ნიშნებით).

5. ნახევარ წლის თავის დაწყებისა და დასრულების ვადას განსაზღვრავენ ადგილობრივ პირობათა მიხედვით ადგილობრივი აღმასკომები, რომელნიც გადასახადს აწესებენ

6. ადგილობრივს აღმასკომს, რომელიც გადასახადს აწესებს, უფლება ეძლევა, თუ საჭიროდ დაინახავს, გადამხდელნი ჯგუფებად დაჰყოს როგორც მათის მოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით, აგრეედვე სხვა ადგილობრივ პირობათა მიხედვით, და დაწესოს თვითეული ჯგუფისათვის გადასახადის ცალკე ჯამი ან ანგარიშით კი, რომ ეს ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ამა წესების მე-4 მუხლით დაწესებულ და განსაზღვრულ გადასახადის როოდენობას.

7. გადასახადისაგან შეიძლება განთავისუფლებულ იქენ რომელიმე პირნი იმ დროს, თუ მათ მოსამსახურე ჰყავთ ისეთ ავადმყოფეს მოსავლელად, რომელნიც სხვის დამარგას საჭიროებენ, იმ პირობით კი, რომ ამ პირებმა ამის შესახებ წარადგინონ ადგილობრივ სანეიმო კომისიათა, ან საბჭოთა სამსახურში მყოფ ექიმთა მოწმობანი; გადასახადისაგან შეიძლება განთავისუფლებულ იქენენ მშრომელთა ოჯახები, სადაც არიან მცირე წლოვანი ბავშვები, რომელნიც იმ ქვრივი ქალის, ან ქვრივი კაცის მრჩველობაზე იმყოფებიან, რომელნიც იძულებულნი არიან ოჯახს მოშორდნენ ოჯახის გამოსაკვებ საშუალებათა საძიებლად, თუ ოჯახში აღარ არიან სხვა წევრნი, რომელთა მზრუნველობის ქვეშაც შესაძლებელია მცირეწლოვანთა დატოვება, იმ პირობით კი, რომ წარადგენილ იქმნეს ამის შესახებ შესაფერი მოწმობა.

8 გადასახადის რაოდენობას, არა უმეტეს ამა წესების მე-4 მუხლის განსაზღვრულ ნორმისა და მის გადახდის ვადას აწესებს აღმასკომი, რომელმაც ეს გადასახადი შემოიღო.

9. გადამხდელთა სიებს ადგილობრივი აღმასკომი ადგენს, ამ სიების შესადგენად შეიძლება წინასწარ შეკრებილ იქმნას საბჭო ცნობები იმ საშვალებებით, რომელიც უფრო ადვილია ადგილობრივ პირობათა გამო, მაგალითად: სახლის მმართველობისაგან, საკვარტალო, საბინო და სხვა ორგანიზაციებისაგან წინასწარ სიების მოთხოვნის გზით, ყველა იმ პირთა სავალდებულო რეგისტრაციის გზით,რომელნიც დაქირავებულ შრომით სარგებლობენ და სხ.წარმოდგენილი ცნობები უნდა შეამოწმის აღმასკომმა როგორც სოციალურ უზრუნველყოფის დამზღვევ კასების ცნობების მიხედვით, ისე ადგილობრივ პირობების კვალად შესაძლებელ ყველა საშუალებებით.

10. გადასახადის შემოღება საყოველთაო გასაგებად გამოცხადებულ უნდა იქნას ადგილობრივ პირობათა გამო შესაძლებელ საშუალებებით იმ ნახევარი წლის დამდეგამდე, რომელზედაც განსზრახულია გადასახადი; ამასთან მისი გადახდის დაწვრილებითი წესები, რაოდენობა და ვ ადები შეიძლება გამოცხადებულ იქნეს ხსენებულ ნახევარ წლის დაწყების შემდეგაც, ხოლო არა უგვიანეს ამა წესების მე-13 მუხლში ნაჩვენებ ვადისა.

11. გადასახადი უნდა გადახდეთ იმ ნახევარ წლისა, რომელიც მოსდევს განცხადებას გადასახადის შემოღების შესახებ; ამასთან ის პირები, რომელთაც წინად მოსამსახურე არა ჰყავდათ და დაქირავეს ამ ნახევარ წლის განმავლობაში, ვალდებულნი არიან ამის შესახებ განუცხადონ ადგილობრივს აღმასკომს,

12. დაქირავებულ შრომით სარგებლობა არა მთელი ნ.ხევარი წლით, არამედ რამდენიმე ხნით იმ ნახევარ წლის განმავლობაში, რომელზედაც გამოცხადებულია გადასახადის დაწესება, გადასახადისაგან არ ათავისუფლებს და შეძლება იგი გახდეს მხოლოდ გადასახადის ნაწილის ან მთლად პატიებისა, იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებულ შრომით სარგებლობაზე უარის თქმა გამოწვეულია ამა თუ იმ პირზე დამოუკიდებელ გარემოებებით, როგორიც არის: ადგილის დაკარგვა და შემოსავლის სხვა წყაროების უქონლობა, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას სამსახურში გადაყვანა და სხვა...

13. გადასახადის რაოდენობა და მისი გასტუმრების ვადები გამოცხადებული უნდა იყოს არა უგვიანეს ერთი თვისა გადასახადის გასტუმრების ვადამდე იმ საშუალებებით, რომელიც უფრო ადვილია ადგილობრივ პირობათა მიხედვით.

14. გადასახადი შეტანილ უნდა იქნას აღმასკომის კასებში ცალკე განცხადებით.

15. შემოტანის დროს გადამხდელს ეძლევა დაწესებული ქვითარი.

16. დაწესებულ ვადაზე შეუტანელი გადასახადის რაოდენობა ნარჩენად უნდა ჩაითვალოს და გადახდევინებულ იქნეს უდავო წესით საურავის ზედშეწერით და გადახდევინების იძულებითის ზომების მიღებით, თანაბმად საფუძვლისა, რომელიც დაწესებულია დებულებით გადასახადისა და ხარკების გადახდევინების შესახებ.

17. ვადის გაგრძელება, გადასახადის ნაწილობრივად გადახდის უფლების მიცემა და გადახდილ ფულის უკან დაბრუნება სწარმოებს საერთო საფუძვლით, რომელიც დაწესებულია გადასახადებისა და ხარკებისათვის.

18. მოთხოვნილ ცნობების მიუწოდებლობისათვის, აგრეედვე აშკარად ყალბ ცნობების მიწოდებისთვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე.

ა. | კ. ფინანსთა სახალხო კომისარი
თ უ მ ა ნ ო ვ ი.

ა. | კ. ფინ. სახ. კომის. კოლეგიის წევრი:
ბ რ ე ბ ო ვ ი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში ა. წ. 19 ივნისამდე ერთიან პარტიულ ბილეთების მისაღებად:

1. დუბენსკი მიხეილ, 2. ნინაშვილი შალვა, 3. ტყეშელაძე ალექს., 4. სალარიძე ალექსანდრე, 5. ბარბაძე სამსონ, 6. ჯიბლაძე ლავრენტ., 7. თარხანოვი სერგეი, 8. ცაგარელი ალექსანდრე, 9. ნადირაძე ბესარიონ, 10. კუჭერავი ალექსი, 11. სმირნოვა ნინა, 12. ელისაბედაშვილი გიორგი, 13. მკრტჩიანი ალექ., 14. ლაჩინიანი არამ, 15. თუშიშვილი ნიკოლოზ, 16. ლეონი ვიქტორ, 17. კაჩმაზოვი ფირუზ, 18. ბორიანი-ქავთარაძე ოფელია, 19. ბზეკალავა ალექსანდრე, 20. ზ.ქარაშვილი გიორგი.

დროზე არ გამოცხადებულ ამხანაგების პარტიული ბილეთები გაგზავნილი იქნება საქართველოს კომპარტიის ცენტრში.

პასუხისმგებელი მდივანი ზ ა ც ა ე ვ ი ჩ.

ორშაბათს, 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბინაზე შესდგება ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ფართე კოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგი: 1 პროლეტკულტის და საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ამოცანები. სხდომაზე მოწვეული არიან ამ ნაგები: ქართველიშვილი, კახიანი, დ. კანდელაკი, ყურულაშვილი, ბაკაპერიძე, იანტოფი, სანდრო ქურიძე, რუსაძე, ბაბაჯანიანი, ნემჩინოვი, ია. თალოვაძე, ძ. ეესები და დუდუჩავა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების და კოლეგიის წევრების დაესწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპრ. განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის

ქალთა განყოფილება წინადადებას აძლევს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში შემდეგ ამხანაგებს: გოლუბევიანს (პიროსმომქმედების სახალხო კომისარიატის ადგილკომი), ქიქოძეს (ფეიქართა კავშირი) და პეტდოვიანს.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე: ს. დ ა ლ ნ ა ი ა.

ს. კ. პ. თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელთაც არ გადაუუდიათ საწევრო გადასახადი პირველ ივნისამდე, ათ დღეში შემოიტანონ სათანადო რაიონებში.

ამ წინადადების არ ასრულებისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

პასუხისმგებელ მდივნებს ყველანაირ სასტიკად ადევნონ თვალყური საწევრო გადასახადების წესიერთან შემოტანას.

თბ. კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

გულ-დათუთქულნი მამა დავითი რევაზის ძე; დები: ნინა, მარიამი დავითის ასულები და სიძე ვარლამ მალულარია, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური მე-3 კურსის სტუდენტი

ალექსანდრე დავითის ძე ფსაძე

პანაშვიდი 14 ივნისს, საღამოს 7 საათზე თავისივე სახლში, (ელისაბედის ქუჩა № 176) გამოსვენება მიცვალებულის 15 ივნისს, დილის 11 საათზე ნინო წმინდის ეკლესიაში და იქვე დასაფლავება.

804 2—1

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ცნობა იყარით გასაცემ ქონების შესახებ ამიერიდან სისტემატიურად გამოქვეყნდება აღმასკომის წენობის საგანგებო დაფაზე, შემოსავალ კარებთან.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: **სუბაშვილი.**
მდივანი: **ლ. თოკანაძე.**

460 3—1

რუსთაველის თეატრი

ორშაბათს, 17 ივნისს

გალაკტიონ ტაბიძის საზეიმო საღამო

კრ. 423 7—4

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის საოდგურის მომწყობი კომიტეტი

აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

საოდგურის მოძრავი კომპრესორების და პერფორატორების მისაწოდებლად კლდეში სამუშაოდ, ამასთანავე მიწოდებაში შედის: 1) ორი მოძრავი კომპრესორის საოდგური, თვითეულის მოქმედება უნდა იყოს დაახლოებითი შესაქაჩავ ჰაერის 3 კბ. მეტრი წუთში და შეკუმშვითი ზედდაწოლა 7 ატმოსფერა. საოდგური უნდა შესდგებოდეს ნავთის მამოძრავებელისა და კომპრესორისაგან, რომელნიც შეერთებული უნდა იყონ საერთო კოვით და მოთავსებული რკინის ჩარჩოებზე საგორავებით და უნდა იყოს გამოსადეგი სოფლის შარა-გზებზე გადასატანად. 2) 8 პერფორატორი საბრუნავი ბურღით ქვიშიან ადგილებზე გასატარებლად. ბურღის წვეტის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლები 1 ნახევარ დიუიმისა, გატარების სისწრაფე არა ნაკლები 170 მილიმეტრისა წუთში. 3) 20 კომპლექტი ჯავშნიანი შლანგებისა, 15 მეტრი სიგრძე თვითეული, წვეტით, დასამაგრებელი სანაგრიელით (хомут). 4) 8 კომპლექტი ფოლადის ბურღი, ამასთან თვითეულ კომპლექტში უნდა იყოს 3 ბურღი, ერთი სიგრძით 500 მილიმ., მეორე 1000 მილიმ. და მესამე—1500 მილიმ. 5) 2 კომპლექტი ინსტრუმენტი ბურღების ბოლოების შემოსაკერად. 6) 1 ტონა სპეციალური საბურავი ფოლადი. წინადადებას თან უნდა დაერთოს ნახაზები და ვრცელი ტექნიკური აღწერილობა და აგრეთვე აღნიშნული ფასი ოდენობა, ეს ფასი უნდა იყოს თვითეული საგნის წონა. მოძრავი სადგურების ბოლოებზე ფასები ცალკე. ფასები ეს ეკუთვნის ბორჯომ-ბაკურიანის ბანკის ადგილზე მიტანილი (სად. ავჭალა, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობი კომიტეტის ჩიხი). მანქანის და მოწყობილობის დადგმით და ამუშავებით. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ხელსაწყოს ფასებში უნდა იქნეს შეტანილი საბაჟო გადასახადი. წინადადებაში უნდა იქნეს აღნიშნული ფასის გადახდის პირობები და პირობის შეუსრულებლობისათვის ჯარიმა, თუ რომ ვადაზე არ იქნება ადგილზე მიტანილი და დადგმული მთელი განწყობილება. განცხადებები უნდა იქნას შეტანილი კომიტეტში (ველიამინოვის ქ. 3) ა. წ. 23 ივნისს არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა, დახურულ კონვერტებში წარწერით: „ანევმატიურ მოწყობილებათა მისაწოდებლად გამოცხადებულ ვაჭრობისათვის“.

461 2—1

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 17 ივნისს, დილის 10 საათზე ქ. თბილისში, სომხის ბაზარი № 62 სახალხო ბანკის სა-

წუობში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

განსაკუთრებულ სხვა და სხვა გვარ საოჯახო ნივთებისა

საქონლის ნახვა შეიძლება საწყობში 16 და 17 ივნისს საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე.

ამავე დღეს, 17 ივნისს, 12 საათზე ბანკის საწყობში (ეოფ. ექზარქოსის მოედ. № 3) დანიშნულია

მეორე საჯარო ვაჭრობა

იმ საქონელზე, რომელიც გამოცხადებული იყო „ზარია ვოსტოკას“-ს 3 ივნისს № 125 (290) და 5 ივნისს № 126 (296).

თუ რომ მეორე საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, საქონელი გაიყიდება თავისუფალ ფასებში.

1—1

ამიერ-კავკასიის რკინის-გზების

სამმართველო

აცხადებს, რომ

1. ჩქარი მატარებლები №№ 1 და 2 მოსკოვსა და თბილისს შორის (№ 1-ლი, რომელიც თბილისიდან გადიოდა ორშაბათობით და № 2, რომელიც თბილისში მოდიოდა შაბათობით) 18 ივნისიდან გაუქმებული არიან და 19 ივნისიდან ივლიან კვირაში ერთხელ ბაქოსა და მოსკოვს შორის.

2. 19 ივნისიდან განახლდება თბილისსა და პეტროგრადს შორის მეორე წყვილი ჩქარი მატარებლების № 1 და № 2 მიმოსვლა. № 1 გავა თბილისიდან პეტროგრადისაკენ სამშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე, № 2 მოვ